ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო
სოციალურ, განათლების, კულტურისა
და სპორტის საკითხთა კომისია

ოქმი:**ო47. 47243392**

თარიღი:**04/12/2024**

სოციალურ, განათლების, კულტურისა და სპორტის საკითხთა

კომისიის სხდომის

ოქმი 12

დ. ჩოხატაური 25 ნოემბერი2024 წელი.

თავმჯდომარეობდა: ზვიად მამალაძე

ესწრებოდნენ::ნოდარი ცხომელიძე, გიორგი მათითაშვილი,კახაბერ სიხარულიძე, გოჩა ჯიქია,ნინო რამიშვილი;

არ ესწრებოდნენ: მანანა მინდაძე ,გივი ჩხიკვაძე ,ბაია ძნელაძე ,ბაჩო ახალაძე, არჩილ სიხარულიძე;

ონლაინ ჩაერთო: ქეთევან სიხარულიძე, ზაურ ზარბაზოია;

მოწვეული :

ზაალ მამალაძე - საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე;

თენგიზ მეგრელიშვილი - მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ქონების მართვის საკითხებში;

მაია გოგოლაძე - მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი;

ნოდარი ჟღენტი - მერიის ინფრასტრუქტურის განყოფილების უფროსი სპეციალისტი;

მაიკო ბენიძე - ა (ა).ი.პ „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანების“ დირექტორის მოადგილე;

მარიამ მამალაძე - საკრებულოს აპარატის საოქმო სამდივნო მომსახურების განყოფილების სტაჟიორი;

ზაზა კაკურია - საკრებულოს აპარატის საოქმო - სამდივნო მომსახურების განყოფილების უფროსი სპეციალისტი;

სხდომის თავმჯდომორემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრეთ გააცნო დღის წესრიგის პროექტი შემდეგი ფორმულირებით:

1.მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით (შუალედური) არჩეული საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ცნობის შესახებ.

2. ინფორმაცია ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანების მიერ 2024 წლის განვლილ პერიოდში გაწეული საქმიანობის შესახებ.

3.საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2024-2025 წლებში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ.

4. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების 2024 წლის დამატებითი საპრივატიზაციო ნუსხისა და დამატებითი პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ.

5.„ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 26 დეკემბრის N17 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

6.ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ.

<u>აზრი გამოთქვა:</u> ქეთევან სიხარულიძემ, გოჩა ჯიქიამ, ისინი დაეთანხმნენ დღის წესრიგის წარმოდგენილ პროექტს.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე:

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _ 8

წინააღმდეგი _ 0

თავი შეიკავა - 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 8 წევრი)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1.მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით (შუალედური) არჩეული საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ცნობის შესახებ.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

2. ინფორმაცია ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანების მიერ 2024 წლის განვლილ პერიოდში გაწეული საქმიანობის შესახებ.

მომხსენებელი: მაიკო ბენიძე

3.საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2024-2025 წლებში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ.

მომხსენებელი: ნოდარი ჟღენტი

4. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების 2024 წლის დამატებითი საპრივატიზაციო ნუსხისა და დამატებითი პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: ვალერი ყაჭეიშვილი

5. „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ - ჩოხატაურის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 26 დეკემბრის N17 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხსენებელი: მაია გოგოლაძე

6.ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ.

მომხსენებელი:ზვიადი მამალაძე

I საკითხი მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით (შუალედური) არჩეული საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ცნობის შესახებ.

მოისმინეს:

1.მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით (შუალედური) არჩეული საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ცნობის შესახებ.

მომხსენებელი:*მარინე ბერაძე*

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს აზრის გამოთქმის თაობაზე,

აღნიშნულ საკითხთან დაკაშირებით კომისიის წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე:

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _8

წინააღმდეგი _0

თავი შეიკავა - 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 8 წევრი)

მიღებულია გადაწყვეტილება:

კომისიამ განიხილა მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით (შუალედური) არჩეული საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ცნობის შესახებ საკითხი და გადაწყვიტა გადაეცეს საკრებულოს ბიუროს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შესატანად.

II საკითხი: ინფორმაცია ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანების მიერ 2024 წლის განვლილ პერიოდში გაწეული საქმიანობის შესახებ.

მოისმინეს:

2. ინფორმაცია ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანების მიერ 2024 წლის განვლილ პერიოდში გაწეული საქმიანობის შესახებ.

მომხსენებელი: ***მაიკო ბენიძე***

აზრი გამოთქვა: სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ 2025 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნას სამუსიკო სკოლის პედაგოგების სახელფასო ანაზღაურების მატება.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე:

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _8

წინააღმდეგი _0

თავი შეიკავა - 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 8 წევრი)

მიღებულია გადაწყვეტილება:

კომისიამ განიხილა ინფორმაცია ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანების მიერ 2024 წლის განვლილ პერიოდში გაწეული საქმიანობის შესახებ თაობაზე და გადაწყვიტა, საკითხი განსახილველად გადაეცეს საკრებულოს ბიუროს, საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შესატანად.

III საკითხი: საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2024-2025 წლებში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ.

მოისმინეს:

3.საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2024-2025 წლებში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ.

მომხსენებელი:ნოდარი ჟღენტი

მიღებულია გადაწყვეტილება:

კომისიამ განიხილა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2024-2025 წლებში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ განკარგულების პროექტი და გადაწყვიტა, გადაეცეს საკრებულოს ბიუროს, საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შესატანად.

IV საკითხი: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების 2024 წლის დამატებითი საპრივატიზაციო ნუსხისა და დამატებითი პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ.

მოისმინეს:

4. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების 2024 წლის დამატებითი საპრივატიზაციო ნუსხისა და დამატებითი პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი:ვალერი ყაჭეიშვილი

აზრი გამოთქვა: სხდომის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს აზრის გამოთქმის თაობაზე,

აღნიშნულ საკითხთან დაკაშირებით კომისიის წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე:

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _8

წინააღმდეგი _0

თავი შეიკავა - 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 8 წევრი)

მიღებულია გადაწყვეტილება:

კომისიამ განიხილა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების 2024 წლის დამატებითი საპრივატიზაციო ნუსხისა და დამატებითი პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი და გადაწყვიტა, გადაეცეს საკრებულოს ბიუროს, საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შესატანად.

V საკითხი: „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 26 დეკემბრის N17 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მოისმინეს:

5.„ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 26 დეკემბრის N17 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხსენებელი: მაია გოგოლაძე

აზრი გამოთქვა: სხდომის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს აზრის გამოთქმის თაობაზე,

აღნიშნულ საკითხთან დაკაშირებით კომისიის წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე:

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _8

წინააღმდეგი _0

თავი შეიკავა - 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 8 წევრი)

მიღებულია გადაწყვეტილება:

კომისიამ განიხილა „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 26 დეკემბრის N17 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ განკარგულების პროექტი და გადაწყვიტა, გადაეცეს საკრებულოს ბიუროს, საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შესატანად.

VI საკითხი: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ.

მოისმინეს:

6. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ.

მომხსენებელი:ზვიადი მამალაძე

აზრი გამოთქვა: სხდომის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს აზრის გამოთქმის თაობაზე, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კომისიას გააჩნია შემდეგი სახის შენიშვნები:

1. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლისა და ცენტრალური ბიბლიოთეკის ინფრასტრუქტურა საჭიროებს რეაბილიტაციას. არის თუ არა 2025 წელს აღნიშნული შენობების

რეაბილიტაცია გათვალისწინებული და თუ არის, თხოვთ ასახოთ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტების შესაძენი სახსრები შესაბამის მუხლში;

2. გთხოვთ, გაითვალისწინოთ, სამუსიკო სკოლის პედაგოგების სახელფასო ანაზღაურების მატება.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე:

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _8

წინააღმდეგი _0

თავი შეიკავა - 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 8 წევრი)

მიღებულია გადაწყვეტილება:

კომისიამ განიხილა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტი და გადაწყვიტა, აღნიშნული შენიშვნების სისტემატიზაცია უზრუნველყოს საკრებულოს აპარატმა, რათა საკრებულოს თავმჯდომარემ 2025 წლის ბიუჯეტში გასათვალისწინებლად გადაუგზავნოს მუნიციპალიტეტის მერს .

განსახილველი საკითხების ამოწურვის შემდეგ, ქეთევან სიხარულიძემ გამოთქვა სურვილი, მარტოხელა ხანდაზმულთა დასახმარებლად, სადღესასწაულო დღეებში წასახალისებლად, მომდევნო წლის ბიუჯეტში, ან სოციალური დახმარების გაცემის წესში აისახოს შესაბამისი თანხები.

ნინო რამიშვილმა გამოთქვა სურვილი, რომ კარგი იქნება თუ ქვენობნის გზის რეაბილიტაციისათვის 2025 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნება საჭირო თანხა.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ზვიადი მამალაძე

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო-სოციალურ, განათლების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომისია-კომისიის თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი